

უნარები და მიგრაცია საქართველოში: მოკლე ანგარიში

2021 წლის სექტემბერი



ეს არის ნათარგმნი ვერსია. ამ თარგმანში წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ და გამოიყენოთ დოკუმენტის ორიგინალური, [ინგლისურენოვანი ვერსია](#).

წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ევროპის განათლების ფონდს (ETF) ეკისრება და არ იგულისხმება, რომ მასში ასახულია ევროკავშირის ინსტიტუტების შეხედულებები.

@ ევროპის განათლების ფონდი, 2021 წ.

ასლის დამზადება ნებადართულია წყაროს მითითების შემთხვევაში

www.etf.europa.eu/en/publications-and-resources/publications/

წინასიტყვაობა

ევროპის განათლების ფონდის (ETF) უნარებისა და მიგრაციის მოკლე ანგარიში წარმოადგენს მიგრაციის უნარების განზომილების მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზის პირველ მცდელობას. იგი შედგება სამი ძირითადი კონცეპტუალური ნაწილისგან, რომლებიც განხილულია კრიტიკული ანალიზის მეშვეობით.

- მასში წარმოდგენილია მიგრაციის უნარების განზომილებასთან დაკავშირებული მონაცემები, ტენდენციები და გამოწვევები, რომლებიც აღწერს არსებულ მდგომარეობას სტრუქტურირებული სახით.
- მასში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკის განვითარებასა და პრაქტიკულ გამოცდილებებზე, რომლებიც მიზნად ისახავს მიგრანტების უნარების გაძლიერებას. პოლიტიკა და პროექტები გაანალიზებულია ლეგალური შრომითი მიგრაციის საჭიროებების და მიგრაციისა და განვითარების საკითხების თვალსაზრისით. ანალიზის ლოგიკის მიზანია წარმატების ფაქტორების გამოვლენა და გამოწვევების გადაჭრის გზების დასახვა.
- მასში წარმოდგენილია მოკლე- და გრძელვადიანი რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებებით.

ანგარიში ორ მიზანს ემსახურება. ერთის მხრივ, მისი მიზანია წვლილი შეიტანოს კონკრეტულ ქვეყნებში არსებული მიგრაციის უნარების განზომილების შესახებ ევროკავშირის (EU) ინსტიტუტებში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და საერთაშორისო მხარეებთან უფრო ფართო პოლიტიკური დიალოგის წარმოების პროცესში. მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს კომუნიკაციის მექანიზმს ETF-ისა და ადამიანურ კაპიტალზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს შორის არსებულ პოლიტიკის დიალოგი ფარგლებში. როგორც ასეთი, ანგარიში დაეხმარება ETF-ს განახორციელოს პოლიტიკის ანალიზი მისი პარტნიორი ქვეყნებისათვის და მხარი დაუჭიროს მათ პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რათა მათ გააუმჯობესონ მოქალაქეების დასაქმების შესაძლებლობები უწყვეტი სწავლების მეშვეობით, მათ შორის, მიგრაციის პროცესში.

ETF-ის ანგარიშის მიზანია, სრულად მოიცვას პარტნიორი ქვეყნები, რომლებთან ერთადაც შესაძლებელია ცირკულარული და/ან მობილურობის სქემების შემუშავება¹.

შემდგომში შესაძლებელია უფრო სიღრმისეული კონკრეტულ ქვეყანაზე ორიენტირებული ან ქვეყნებათაშორისი კვლევების ჩატარება ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ გამოხატული საჭიროებების მხარდასაჭერად. ანგარიშის შედეგებიდან გამომდინარე დამატებითი ქმედებების შემდგომი ფორმა შესაძლებელია წარმოადგენდეს ევროკავშირისთვის კონკრეტულ მხარდამჭერ აქტივობებს ETF-ის მანდატის შესაბამისად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ხელშეწყობას ახალი ინიციატივების შემუშავების პროცესში, შინაარსის მონიტორინგს ან სხვა კონკრეტულ შესათანხმებელ ქმედებებს.

¹ 2021 წელს ანგარიშები მოიცავს საქართველოს, იორდანias, ლიბანს, მოლდოვას, მაროკოს, ტუნისსა და უკრაინას.

სარჩევი


ანალიზი	5
1. უნარებისა და მიგრაციის მიმოხილვა	5
2. სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩო	9
3. უნარებისა და მიგრაციის საკითხებზე თანამშრომლობის პროექტები	12
ETF-ის მხარდაჭერა	15
განვითარების მიმართულებები	17
დანართი I: სტატისტიკური დანართი	20
დანართი II: პროექტების სია	24
მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში ENIGMMA-2, ICMPD	27
დანართი III: საქართველოს ცირკულარული მიგრაციის ორმხრივი პროგრამები	31
შემოკლებების სია	32
ბიბლიოგრაფია	33

ანალიზი

1. უნარებისა და მიგრაციის მიმოხილვა

საქართველოდან მასობრივი ემიგრაცია დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ის გადარჩენის სტრატეგიას წარმოადგენდა მოსახლეობისთვის, რომელიც აღმოჩნდა ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე. დღესაც კი, არსებული საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების ძირითადი მახასიათებლები საქართველოს შემთხვევაში უკავშირდება ემიგრაციას, და კერძოდ, არადოკუმენტირებულ და არარეგულარულ ემიგრაციას და არა იმიგრაციას². ემიგრაციული ნაკადები ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, დაბალანაზღაურებადი სამსახურებისა და უმუშევრობის შედეგია (OECD და CRRC – საქართველო, 2017 წ.), ისევე როგორც, განვითარებული ქართველი მიგრანტების ქსელების, რაც ემიგრაციას უფრო უსაფრთხო და მარტივ პროცესად აქცევს პოტენციური ემიგრანტებისთვის (ზურაბიშვილი, 2009 წ.).

დიაგრამა 1. მთლიანი შიდა პროდუქტი და მიგრანტების რაოდენობა [MIGRANT STOCK] (მთლიანი მოსახლეობის %), 1990-2019



წყარო: UN DESA, „საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა [stock] 2019 წლის მდგომარეობით“, მსოფლიო ბანკი („მსოფლიო განვითარების მაჩვენებლები [World Development Indicators]“)


ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობას შორის განსხვავება იზრდება 1990-ანი წლებიდან. ბოლო 20 წლის განმავლობაში, ქვეყანამ განიცადა მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) შესამჩნევ ზრდა (მოქმედ აშშ დოლარში). თუმცა, ზემოხსენებულმა არ გამოიწვია მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესება და, ამგვარად, იგი არ აღმოჩნდა საკმარისი მიგრაციის უარყოფითი სალდოს ზრდის შესაჩერებლად. ამ წლების მანძილზე ქვეყნის

² საქართველოს აქვს მიგრაციის სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი (იხ., UN DESA, „მსოფლიოს მოსახლეობის შესახებ 2019 წლის პროგნოზი [World Population Prospects]“).

დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვალა სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის, ემიგრაციის შედეგად, რამაც მოსახლეობის შემცირება გამოიწვია.

ემიგრანტების რაოდენობის (stock) UN DESA-ს შეფასებების მიხედვით, 2020 წელს საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტთა რიცხვმა შეადგინა 861 077 ადამიანი, რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 22%-ია³. ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი იყო რუსეთში⁴, საბერძნეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ამერიკის შეერთებული შტატებში და სომხეთში⁵. როგორც ჩანს, ემიგრანტთა გენდერული შემადგენლობა საკმაოდ დაბალანსებულია - ქალები ემიგრანტების 50.2% შეადგენენ⁶. თუმცა, ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს, მაგალითად, იტალიისა და საბერძნეთის შემთხვევაში, შესაძლებელია ვილაპარაკოთ საქართველოდან ემიგრაციის ფემინიზაციაზე (ზურაბიშვილი და ზურაბიშვილი, 2010 წ.). რაც შეეხება ემიგრაციულ ნაკადებს, უახლესი მონაცემების თანახმად, საქართველოდან რუსეთში ნაკადები შესამჩნევად შემცირდა, განსაკუთრებით კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც მოხდა ნაკადების ევროკავშირის, ისრაელისა და ჩრდილოეთ ამერიკისკენ გადამისამართება, რომლებიც ქართველ მიგრანტებს უფრო მაღალ ანაზღაურებას, უსაფრთხოებასა და უკეთესი ცხოვრების ხარისხს სთავაზობდნენ, ვიდრე რუსეთი (SCMI, 2019 წ.). ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი სახელმწიფოებიც იზიდავენ ქართველ ემიგრანტებს, განსაკუთრებით პოლონეთი, სადაც მოქმედებს გამარტივებული ცირკულარული მიგრაციის სქემები⁷ (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. წამყვანი 10 რეგიონი და ქვეყანა ემიგრაციის თვალსაზრისით, 2020 წ.



³ UN DESA, „საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა (stock) 2019, 2020 წლების მდგომარეობით“.

⁴ რუსეთის 2010 წლის მოსახლეობის ეროვნული აღწერის თანახმად, 436 442 საქართველოში დაბადებული ადამიანი ცხოვრობდა რუსეთში. თუმცა, ეს რაოდენობა არნიშნავს, რომ ყველა ეს ადამიანი საქართველოს მოალაქეა, ისინი შესაძლოა ასევე მოიცავდეს რუსეთში ნატურალიზებულ საქართველოს მოქალაქეებს.

https://web.archive.org/web/20190817081651/http://www.demoscope.ru/weekly/ssp/rus_bir_10.php; UN DESA estimates the size of Georgian migrant stock in Russia at 449 973.

⁵ UN DESA, „საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა (stock) 2019, 2020 წლების მდგომარეობით“. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული რიცხვები მიუთითებს საზღვარგარეთ დაბადებულ მოსახლეობაზე და აუცილებლად არ ასახავს მოქალაქეობას. საზღვარგარეთ საქართველოდან ემიგრანტების დეტალური ანალიზისთვის იხილეთ ICMPD (2015, გვ. 37–40).

⁶ UN DESA, „საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა (stock) 2019, 2020 წლების მდგომარეობით“.

⁷ პოლონეთს გააჩნია დროებითი/ცირკულარული მიგრაციის გამარტივებული სქემა, რომელიც ექვსი ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს იმუშაონ პოლონეთში 6 თვის მანძილზე 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. <https://lang-psz.praca.gov.pl/en/dla-bezrobotnych-i-poszukujacych-pracy/dla-cudzoziemcow/oswiadczenia-o-powierzeniu>

წყარო: UN DESA, „მიგრანტების საერთაშორისო რაოდენობა (stock) 2020 წლის მდგომარეობით“

საქართველოდან ემიგრაციისა და დაბრუნებითი მიგრაციის შესახებ და კერძოდ, კვალიფიკაციისა და უნარების მახასიათებლებზე ორიენტირებული კვლევები ამტკიცებს, რომ სხვა ემიგრაციის ქვეყნების მსგავსად, საქართველოდან მიგრანტების უმეტესობას, როგორც წესი, გააჩნია საშუალოზე შედარებით მაღალი განათლების დონე (OECD და CRRC – საქართველო, 2017 წ.; ETF და BCG, 2013 წ.).

მიგრანტების შედარებით ნაკლები რაოდენობა ტოვებს ქვეყანას საგანმანათლებლო და კვლევითი შესაძლებლობებისთვის, ხოლო მათი გამგზავრება წარმოადგენს ინტელექტუალური კაპიტალის დაკარგვას ქვეყნისთვის (SCMI, 2019 წ.). რადგან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (GeoStat) აგროვებს მონაცემებს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების შესახებ, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთ⁸ და მათი სწავლების სფეროების შესახებ, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენი საქართველოს მოქალაქე იღებს პროფესიულ განათლებას და გადის შესაბამის მომზადებას (VET) ან იღებს საშუალო განათლებას საზღვარგარეთ. საქართველოდან საგანმანათლებლო ემიგრანტების ძირითად მიმართულებების ქვეყნებია გერმანია, უკრაინა, სომხეთი, თურქეთი და ამერიკის შეერთებული შტატები (ინდიკატორი 21b დანართ I-ში).

ფულადი გზავნილები კვლავ არსებით როლს თამაშობს საქართველოში დარჩენილი მიგრანტების ოჯახების ცხოვრებაში. როგორც კვლევები გვიჩვენებს, მიუხედავად მათი შედარებით მაღალი ოდენობისა, ფულად გზავნილებს მცირე ზეგავლენა აქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი წარმოადგენენ ძლიერ ინსტრუმენტს მიგრანტების ოჯახებისთვის სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით (SCMI, 2016 წ., გვ. 13–16). როგორც ამას გვიჩვენებს დანართ I-ში მოცემული ინდიკატორები 10a–11b, ფულადი გზავნილები საქართველოს მშპ-ს მნიშვნელოვან წილს შეადგენს, რომელმაც 2019 წელს დაახლოებით 13%-ს მიაღწია. თუმცა, სოციალური გზავნილებისა (social remittances) და უნარების გადაცემის შემთხვევებში, კვლევები გვიჩვენებს, რომ დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევაში შემენილი კვალიფიკაციის გაზიარება და ტრანსფერი უმნიშვნელოდ ხდება (ETF და BCG, 2013 წ., გვ. 5); ხოლო იმ დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევაში, რომლებიც ე.წ. 3D სამუშაოებით⁹ იყვნენ დაკავებული საზღვარგარეთ, ეს მაჩვენებლები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაბალია.

მიუხედავად იმის, რომ საქართველო უფრო ემიგრაციის, ვიდრე იმიგრაციის ქვეყანაა, ბოლო წლების მანძილზე მან განიცადა იმიგრანტების გარკვეული ჯგუფების შემოდიდება. რამდენიმე ქართული უნივერსიტეტი მიზანმიმართულად მუშაობს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე და ხსნის ინგლისურენოვან სერტიფიცირებულ პროგრამებს; შესაბამისად. საერთაშორისო სტუდენტების რიცხვიც გაიზარდა (SCMI, 2017 წ.). განათლების მაძიებელი იმიგრანტების წარმომავლობის ძირითად ქვეყნებია ინდოეთი, აზერბაიჯანი, ერაყი, ირანი და ნიგერია (ინდიკატორი 16 დანართ I-ში) (UNESCO; SCMI, 2017 წ.). იმიგრანტების სხვა ჯგუფები მოიცავს


⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, “უმაღლესი დაპროფესიული საგანმანათლებლო წესებულებების სტატისტიკური მონაცემები 2019”, 2020 წ., t.ly/4UzA

⁹ ტერმინი 3D (dirty, dangerous, demeaning - ჭუჭყიანი, სახიფათო, დამამცირებელი) ნაკლებად კვალიფიციური სამუშაოების შემთხვევაში გამოიყენება

შრომით მიგრანტებს, მიგრანტებს, რომლებიც ჩამოდიან ოჯახის გაერთიანების მიზნით, მეწარმეებს/ინვესტორებს ან მიგრანტებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ, ან არიან საქართველოს ყოფილი მოქალაქეები (SCMI, 2019 წ., გვ. 37–64).

რუსეთის ფედერაცია საქართველოში იმიგრანტთა ძირითადი წარმოშობის ქვეყანაა. ძირითადად ეს ეხება პირებს, რომლებიც „საქართველოს ყოფილი მოქალაქეების“ კატეგორიაში ხვდებიან. ზემოაღნიშნული დადასტურებულია ქვეყანაში არსებული საქართველოს იმიგრანტთა რაოდენობრივი მაჩვენებლებით (SCMI, 2019 წ.) (დიაგრამა 3; ინდიკატორი 15b დანართ I-ში).

დიაგრამა 3. იმიგრანტების წარმოშობის ყველაზე დიდი 10 ქვეყანა, 2020 წ.



წყარო: UN DESA, „საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა 2020 წლის მდგომარეობით“

საქართველოში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) დიდი რაოდენობა ცხოვრობს. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება დევნილთა „პირველ“ (1990-ანი წლების დასაწყისი) და „მეორე“ (2008 წ.) ტალღებს შორის. მაშინ, როდესაც ბოლო დრომდე ოკუპირებული რეგიონებიდან პირველი ტალღის დევნილებმა მცირეოდენი დახმარება მიიღეს სახელმწიფოსგან განსახლების თვალსაზრისით 1990-ან წლებში საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მეორე ტალღის დევნილების ხელახალი განსახლება ეფექტურად განხორციელდა 2008 წელს მსხვილი საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიღების შედეგად. ამჟამად მიმდინარეობს პირველი ტალღის დევნილების განსახლება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობით. თუმცა, კომპაქტურად განსახლებულ დევნილთა რაოდენობა კვლავ შედარებით მაღალია¹⁰.

ეკოლოგიური მიგრანტები (ეკო-მიგრანტები) წარმოადგენენ შიდა მიგრაციის კიდევ ერთ სახეობას, რომელიც გამოწვეულია ეკოლოგიური პირობების გაუარესებით. სავარაუდოა, რომ, სახელმწიფო "ჩამორჩება" ეკო-მიგრანტების განსახლებაში, რადგან ეკო-მიგრანტებად რეგისტრირებულთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე განსახლებულთა რიცხვი (SCMI, 2019 წ., გვ. 37).

¹⁰ დევნილები კვლავ ძირითადად ცხოვრობენ შემდეგ რეგიონებში: სამეგრელო-ზემო სვანეთი (89 325 დევნილი), იმერეთი (27 631), შიდა ქართლი (20 197), ქვემო ქართლი (14 719), მცხეთა-მთიანეთი (12 316) და თბილისი (110 629); იხ. SCMI (2019 წ., გვ. 69).

შიდა მიგრაციის კიდეც ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს „თბილისიზაცია“, როგორც ეს თავდაპირველად „საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილში“ აღინიშნა. ამ პროცესის შედეგად საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი (გარდა აჭარისა) განიცდის მოსახლეობის კლებას მაშინ, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ თბილისში მატულობს (SCMI, 2019 წ., გვ. 37). მოსახლეობის შემცირება სოფლად მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რომელმაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა შეაფერხოს ქვეყნის განვითარება, რადგან სავარაუდოა, რომ სწორად ახალგაზრდები, მაღალი განათლების დონის მქონე და მეტად მოტივირებული ინდივიდები ტოვებენ სოფლებს და საცხოვრებლად ქალაქებში გადადიან (FES, 2021 წ., გვ. 16).

COVID-19-ის პანდემია საქართველოში ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენს ზეგავლენას, და მიგრაცია და უნარების გაძლიერების სფერო არ წარმოადგენს გამონაკლისს. პანდემიის დასაწყისში, მიგრაციული ნაკადები შემცირდა და, გარკვეულ წილად, შეჩერდა კიდეც. მიუხედავად ამისა, საპაერო მიმოვლის გახსნის შემდეგ, ნაკადები კვლავ განახლდა. ანექდოტური მტკიცებულებების (anecdotal evidence) თანახმად, ქართველი ემიგრანტები წარმატებით ლახავენ COVID-19-თან დაკავშირებულ შეზღუდვებს დანიშნულების ქვეყანაში შესვლისას. თუმცა, უნარების განვითარების და გაძლიერების თვალსაზრისით, შესაძლოა პანდემიამ სერიოზული უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს: ad hoc ჩატარებული კვლევების თანახმად, საგანმანათლებლო პროცესების ონლაინ სივრცეში გადასვლის შედეგად, განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად დაეცა. მეტიც, ზოგიერთი მოსწავლე და სტუდენტი დარჩა საგანმანათლებლო პროცესის გარეთ ციფრულ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული ან წვდომის უქონლობის გამო (IDFI, 2021 წ.).

იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად სწრაფად დაუბრუნდა ფულადი გზავნილების ოდენობა COVID-19 პანდემიამდელ დროს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთლიანობაში, საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ემიგრანტების რაოდენობა იგივე დარჩა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიგრაციული ნაკადების მიმართულებები მნიშვნელოვნად შეიცვლება, თუ ძირითადი მიმღები ქვეყნები არ მიიღებენ სერიოზულ ზომებს მიგრაციის შესაკავებლად ცვალებადი გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე. რაც შეეხება საიმეგრაციო ნაკადებს, ავღანეთში არსებული ჰუმანიტარული კრიზისიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ ლტოლვილთა რაოდენობა გაიზარდოს ამ რეგიონიდან; თუმცა, საქართველომ, სავსებით შესაძლებელია მიგრანტთა ამ ჯგუფისთვის უფრო სატრანზიტო, ვიდრე საბოლოო დანიშნულების ქვეყანის როლი შეასრულოს.

2. სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩო

მიგრაციის საკითხების მართვა და პოლიტიკის განსაზღვრა საქართველოში წარმოადგენს მთლიანად ქვეყნის მართვისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესის განუყოფელ ნაწილს. მას შემდეგ რაც 2003 წელს მოხდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (European Neighbourhood Policy) ინიცირება, მიგრაციის პოლიტიკა და მართვა ქვეყანაში მართლაც რომ მნიშვნელოვნად განვითარდა. დღეისათვის, საქართველოს მთავრობას აქვს ყველა შესაძლებლობა, შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები და ეფექტურად მართოს ეს სფერო.

საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტი არის საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს მოქალაქეობის შესახებ”, რომელიც ძალაშია 2014 წლის ივნისიდან. ეს კანონი არეგულირებს საქართველოს მოქალაქეობის დადგენისა და

ნატურალიზაციის მექანიზმებს. საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ძალაშია 2014 წლიდან, შეეცადა დაერეგულირებინა უცხოელთა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საკითხები (მათ შორის, ახალი ვიზისა და ბინადრობის ნებართვების/კატეგორიების მიღება); თუმცა, ძლიერი კრიტიკის შედეგად (Ellena, 2015 წ.) და რამდენიმე ცვლილების შემდეგ, ზოგიერთი მარეგულირებელი ნორმა შემსუბუქდა¹¹.

არც „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)“, და არც 2018 წლის საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ არ მოიხსენიებს მიგრაციას, მიგრანტებს ან დაბრუნებულ მიგრანტებს. თუმცა, საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ კვლავ მნიშვნელოვანია შრომითი მიგრაციისა და უნარების გაძლიერების კონტექსტში, რადგან იგი საფუძველს უყრის უწყვეტ სწავლებასა და „საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა“¹². კონკრეტულად, აღნიშნული მიზნისთვის, კანონი იძლევა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების შესაძლებლობას განათლების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტის (International Standard Classification of Education) მიხედვით¹³, რაც საქართველოში გაცემული კვალიფიკაციის ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში აღიარების შესაძლებლობას იძლევა. სექტორის ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გამარტივებისათვის, კანონი ასევე ქმნის სამართლებრივ საფუძველს პროფესიული განათლების (VET) სფეროში ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების დასაწერად.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო პოლიტიკა ნაკლებ ყურადღებას უთმობს მიგრაციისა და უნარების გაძლიერების საკითხებს. „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია“ ასევე არ საუბრობს ურთიერთკავშირებზე მიგრაციისა და უნარების განვითარებას შორის. სტრატეგია ძირითადად განიხილავს უნარების გაძლიერებას ცირკულარული მიგრაციის სქემების კონტექსტში (SCMI, 2020 წ., გვ. 21–22, 28). რადგან „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია“ და „პროფესიული განათლების რეფორმის 2021-2030 წლების სტრატეგია“ შემუშავდა ერთდროულად, სავარაუდოა, რომ სექტორული - VET - სტრატეგია ყურადღებას გაამახვილებს უნარების ამაღლების ამ კონკრეტულ საკითხებზე. ანგარიშზე მუშაობის პროცესში VET სტრატეგია ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია და საინტერესოა, თუ როგორ მოხდება უნარებისა და მიგრაციის შორის კავშირების ასახვა მასში¹⁴.

კავშირი სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებს შორის, რომლებიც მიგრაციისა და უნარების გაძლიერების საკითხებს მოიცავს, ამჟამად საკმაოდ სუსტია. მაშინ, როდესაც მიგრანტების სხვადასხვა ჯგუფებისთვის (როგორც იმიგრანტებისთვის, ისე დაბრუნებულ მიგრანტებისთვის) ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის პროფესიული განათლების სერვისები, ეს სერვისები არ არის

¹¹ მაგალითად, უვიზო ქვეყნების რაოდენობა კვლავ გაიზარდა და ამოქმედდა ონლაინ სავიზო პორტალი.

¹² 2018 წლის საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=6#DOCUMENT:1;1>, მუხლი 2, პუნქტი დ.

¹³ <http://uis.unesco.org/en/topic/international-standard-classification-education-isced>

¹⁴ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის ფარგლებში დამტკიცდა პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების სახელმძღვანელო, რომელიც არ იძლევა სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებს შორის მიზნების გამეორების უფლებას (დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები).

კონკრეტულად ამ ჯგუფებზე მორგებული და ნაკლებად ითვალისწინებს მათ საჭიროებებს, რადგან, მათი შემუშავება ხდება ეროვნულ დონეზე. შედეგად, არსებული VET-ის სისტემა ვერ "აღწევს" საზოგადოების ამ ჯგუფებამდე. ექსპერტულმა ინტერვიუებმა ასევე გვიჩვენა, რომ ქვეყანაში არსებობს უნარების გაძლიერების აწყობილი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ღიაა და *de jure* ყველასათვის ხელმისაწვდომია, ის ნაკლებად ახერხებს სხვადასხვა კატეგორიების მიგრანტების მოზიდვას, როგორცაა იმიგრანტები, მათ შორის ისინი, რომელთაც გააჩნიათ ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსი, პოტენციური მიგრანტები და დაბრუნებული მიგრანტები. ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია სამიზნე ჯგუფებში ინფორმირებულობის და ცნობიერების დაბალი დონე VET-ის სფეროების შესაძლებლობების შესახებ. იმიგრანტების შემთხვევაში, კიდევ ერთი მიზეზია ინგლისურენოვანი VET პროგრამების მცირე რაოდენობა, რაც ზღუდავს იმიგრანტების ჩართულობას პროფესიულ პროგრამებში. ამავე დროს, როგორც ჩანს, არსებული ქართული ენის შემსწავლელი საგანმანათლებლო მოდულები არ/ვერ იძლევა საკმარის ცოდნას, რათა ამ ჯგუფების წარმომადგენლები მოთხოვნად დონეზე დაეუფლონ ქართული ენას და სწავლა პროფესიულ პროგრამაზე შეძლონ.

იმისათვის, რათა ამ სისტემამ ეფექტიანად იმუშაოს, საჭიროა, ერთი მხრივ, მიგრაციის თემა ჩართული იყოს VET-ის განვითარების დღის წესრიგში, ხოლო, მეორე მხრივ, უნარების გაძლიერების საკითხები - ლეგალური მიგრაციისა და განვითარების დღის წესრიგში. ამ ეტაპზე, ამ ორ სფეროს ნაკლებად აქვთ გადაკვეთის სფერო, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (MES) პასუხისმგებელია უნარების ამაღლების ასპექტებზე, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MoILHSA) კურირებს შრომით მიგრაციას. ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხასიათის თანამშრომლობა ამ ორ ძირითად დაინტერესებულ მხარეს შორის, გარდა ცირკულარული მიგრაციის სქემების შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებებზე მუშაობის დროს, როდესაც საჭირო ხდება კონკრეტული კვალიფიკაციების ანალიზი ან VET პროგრამების დაახლოება კონკრეტული ქვეყნების სტანდარტებთან. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას (SCMI), როგორც სათათბირო და მაკოორდინებელი პლატფორმას, შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ამ კავშირების გაძლიერების პროცესში.

SCMI არის მთავარი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს მიგრაციის მართვას საქართველოში. კომისია ფუნქციონირებს 2010 წლის 13 ოქტომბრიდან (მთავრობის #314 განკარგულების საფუძველზე), როგორც საქართველოს მთავრობის საკონსულტაციო ორგანო „მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე“. SCMI-ის თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი, ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. 2021 წლისთვის SCMI შედგებოდა ცხრა წევრი სახელმწიფო უწყებისგან¹⁵ და რამდენიმე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციისგან

¹⁵ შემდეგი სახელმწიფო ორგანოები არიან SCMI-ს წევრები: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. იხ.: https://migration.commission.ge/index.php?article_id=59&clang=0

(რომელთაც საკონსულტაციო სტატუსი აქვთ)¹⁶. მიგრაციის ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფი განიხილავს საკითხებს, რომლებიც ეხება მიგრანტთა უნარებსა და კვალიფიკაციას მიგრაციისა და განვითარების კონტექსტში. სხვა ამოცანათა შორის, SCMI-ს ევალება საქართველოს მიგრაციის სტრატეგიისა და მიგრაციის პროფილის დოკუმენტების შემუშავება. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2021-2030 წლების სტრატეგია 2020 წლის დეკემბრის ბოლოს (SCMI, 2020 წ.) განსხვავებით ორი წინანდელი სტრატეგიისგან (2013–2015 წწ. და 2016–2020 წწ.), 2021-2030 წლების სტრატეგია გრძელვადიანია. შრომითი მიგრაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა ძირითად პრიორიტეტებს შორისაა და სრულად იქნა ასახული ქვეყნის მიგრაციის სტრატეგიის სამივე დოკუმენტში. ლეგალური მიგრაციისა და ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშეწყობა ცირკულარული მიგრაციის სქემებისა და პროგრამების შემუშავების კონტექსტში არის განხილული უფრო ხშირად.

შრომითი მიგრაცია ასევე რეგულირდება საქართველოს კანონით „შრომითი მიგრაციის შესახებ“, რომელიც ძალაშია 2015 წლის 1 ნოემბრიდან. კანონი არეგულირებს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დასაქმების საკითხებს და დასაქმების სააგენტოების სტატუსსა და მათ პასუხისმგებლობებს და ითვალისწინებს მექანიზმებს საზღვარგარეთ დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დასაცავად. 2015 წელს, მთავრობის დადგენილებით (#417), საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა რეგულაციები საქართველოში უცხოელთა დასაქმების შესახებ.

რათა მეტად შეეწყოს ხელი რეგულირებად და ლეგალურ მიგრაციას, 2020 წლის 1 იანვარს ჩამოყალიბდა MoILHSA-სთან არსებული დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (MoILHSA, 2019 წ.). სააგენტო ამარტივებს დასაქმებას როგორც ადგილობრივ შრომით ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ საქართველოს მთავრობის მიერ პარტნიორ ქვეყნებთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში. კერძოდ, თითოეულ ორმხრივ ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი საზღვარგარეთ მყოფი ქართველ მიგრანტთა უფლებების დაცვის საკითხები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ რეგულაციებთან. ამავე დროს, ამ ხელშეკრულებებით განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებები, მიიღონ შესაბამისი ზომები იმ შემთხვევაში, თუ მიგრანტთა უფლებები დაირღვევა. თუმცა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 იანვრის დადგენილებაში #2 დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების სრულყოფის შესახებ არ განიხილავს შრომით მიგრაციას 2021 წლისთვის განსაზღვრულ ძირითად საქმიანობებს შორის (საქართველოს მთავრობა, 2021 წ.).

3. უნარებისა და მიგრაციის საკითხებზე თანამშრომლობის პროექტები

მიგრანტთა მხარდაჭერის ზომები დასაქმებისა და უნარების თვალსაზრისით (MISMES) საქართველოში სახელმწიფო დონეზე იშვიათად და ფრაგმენტული ფორმით გვხვდება. მაშინ, როდესაც ზოგადად MISMES შემუშავებულია და ხორციელდება სამ ეტაპად - მიგრაციამდე,

¹⁶ SCMI შედგება შემდეგი სამუშაო ჯგუფებისგან: მოქალაქეობის არმქონეობის სამუშაო ჯგუფი, მიგრაციის ლაბორატორია, მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის სამუშაო ჯგუფი, მიგრაციის რისკების ანალიზის სამუშაო ჯგუფი, ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფი. იხ.: https://migration.commission.ge/index.php?article_id=56&clang=0

მიგრაციის პროცესში და მიგრაციის დასრულების [დაბრუნების] შემდგომ - MISMES-ის 2015 წ. შეფასების ანგარიშის დასკვნა მიუთითებს (ETF, 2015 წ.), რომ საქართველოში პროექტების უმეტესობა ხორციელდებოდა მიგრაციის დასრულების [დაბრუნების] შემდგომ ეტაპზე და ძირითადად შედგებოდა ნებაყოფლობით დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობით პროგრამებისგან. დღესაც მსგავსი მდგომარეობა გვხვდება.

უნარების ამაღლებასა და მიგრაციას შორის კავშირები დაბრუნებითი მიგრაციისა და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო, პროგრამების ფარგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დაბრუნებულ ქართველ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამა ძალაშია 2015 წლიდან და 2020 წლიდან MoILHSA-ს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ახორციელებს მის ადმინისტრირებას (სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური ახორციელებს ამ პროგრამას). პროგრამა განკუთვნილია მხოლოდ იმ ქართველი დაბრუნებული მიგრანტებისთვის რომლებიც არიან „საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;
- სამშობლოში დაბრუნებიდან ერთი წლის განმავლობაში მომართეს სააგენტოს „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.”¹⁷

პროგრამა უზრუნველყოფს ოთხი სახის დახმარებას: სამედიცინო დახმარებას, დროებითი საცხოვრებლის სუბსიდირებას, პროფესიულ მომზადებას და გადამზადებას და ე.წ. საარსებო წყაროებით უზრუნველყოფას, რაც ხშირად მცირე ბიზნეს-პროექტების დაფინანსებას გულისხმობს¹⁸. არსებული მონაცემები მიუთითებენ, რომ 2015-2019 წლებში სახელმწიფო დახმარების პროგრამა დაეხმარა საშუალოდ 197 ბენეფიციარს ყოველწლიურად (IOM საქართველო, 2021 წ., გვ. 11).

სხვა არასახელმწიფო სარეინტეგრაციო დახმარების წამყვანი პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც ხორციელდება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), საფრანგეთის საიმიგრაციო და საინტეგრაციო ოფისისა (OFII) და საქართველოს კარიტასის მიერ, ბენეფიციართა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება წლიდან წლამდე, რაც ხშირად დამოკიდებულია დაფინანსების ოდენობასა და კონკრეტული პროგრამის მიზნებზე. მნიშვნელოვანია, რომ სარეინტეგრაციო დახმარების ოთხივე ძირითადი განმახორციელებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დახმარებას (ზოგიერთ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების დაფინანსებასაც კი (OFII)), ხოლო ზოგი ასევე სთავაზობს კონსულტაციებს და ქოუჩინგს დასაქმების მიზნით (კარიტასი). თუმცა, აღნიშნული პროგრამებიდან არც ერთი არ უზრუნველყოფს სრული ციკლის დახმარებას დაბრუნებული მიგრანტებისთვის სამუშაოს ძიებაში¹⁹. არსებული დახმარების

¹⁷ <https://idp.gov.ge/en/reintegration-2/>

¹⁸ t.ly/mN6n

¹⁹ კონკრეტული მომსახურება შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი ბაზრის შეფასებას, ბენეფიციართა შესაძლებლობებისა და უნარების შეფასებას, შესაბამისი სასწავლო კურსის/პროგრამის შერჩევას და შემდგომ სამსახურის მოძიებაში და

პროგრამები, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს დახმარებას ფინანსური ან ნატურალური ფორმით და უფრო იშვიათად - ხელშეწყობას უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების სფეროში.

MISMES-ის მიგრაციის დასრულების [დაბრუნების] შემდგომ პროგრამებში არსებული თვალშისაცემი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ ამ პროგრამების უმეტესობა არ არის გამიზნული და არ ითვალისწინებს კვალიფიციურ ქართველ დაბრუნებულ მიგრანტებს, რომლებიც საზღვარგარეთ კანონიერად იმყოფებოდნენ. 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგია აღიარებს ამ ხარვეზს: სარეინტეგრაციო შესაძლებლობები მაღალი კვალიფიკაციის მქონე დაბრუნებული მიგრანტებისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ კანონიერად ცხოვრობდნენ, მწირია. ამ კატეგორიის დაბრუნებული მიგრანტებისთვის ასევე საჭიროა გარკვეული სახის სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება საქართველოს სოციალურ-კულტურულ გარემოში რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სახელმწიფო აღიარებს იმის ვალდებულებას, რომ გამოიჩინოს ინიციატივა და მიიღოს ერთიანი მიდგომები პოლიტიკის დონეზე ყველა მიგრანტის სარეინტეგრაციო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის, მათთვის, ვისაც აქვს მაღალი კვალიფიკაცია და კანონიერად იმყოფებოდა საზღვარგარეთ (SCMI, 2020 წ., გვ. 35).

მეორე სფერო, სადაც არსებობს ძლიერი კავშირები უნარებსა და განვითარებას შორის, არის ცირკულარული მიგრაციის სქემების ჩარჩო და მათი ფუნქციონირება. საქართველოში არსებობს რამდენიმე ცირკულარული მიგრაციის სქემა, რომლებიც უკვე ან სრულად მოქმედებს ან მალე ამოქმედდება. გერმანიასთან და ისრაელთან არსებული ხელშეკრულებები უკვე სრულად მოქმედია, და საქართველოდან შრომითი მიგრანტების პირველმა ჯგუფებმა 2021 წლის ზაფხულში უკვე დაიწყეს მუშაობა გერმანიაში სეზონურ სამუშაოებზე, მიუხედავად COVID-19-ის შეზღუდვებისა (იხ., დანართი III).

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებულმა ცირკულარული მიგრაციის ორმა საპილოტე პროგრამამ²⁰ საფუძველი ჩაუყარა ცირკულარული მიგრაციის არსებული სქემების შემუშავებასა და წარმატებით დანერგვას. აღსანიშნავია, რომ ორივე საპილოტე სქემას გააჩნდა ძლიერი უნარების ასამაღლებელი და მიგრაციული კომპონენტები (მესტერიშვილი, 2018 წ.) სამივე ეტაპზე - მიგრაციამდე, მიგრაციის პროცესში და მიგრაციის დასრულების [დაბრუნების] შემდგომ ეტაპებზე. ორივე საპილოტე სქემა შედგებოდა კარგად შემუშავებული მიგრაციამდელი კომპონენტებისგან, მათ შორის, ენობრივი, ფინანსური წიგნიერებისა და სოციო-კულტურული მომზადების კომპონენტებისგან; ზოგიერთ შემთხვევებში, პოლონეთის თუ ესტონეთის მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად, მოხდა საქართველოდან დასაქმებულთა გადამზადება. მაშინ როდესაც ორივე სქემამ აჩვენა, რომ შესაძლებელია ცირკულარული მიგრაციის სქემების ორგანიზება და მართვა, მათ ასევე გამოავლინეს რამდენიმე გამოწვევა და ხარვეზი, რომელთა

დასაქმებაში დახმარებას ისევე, როგორც ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლას და შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფას.

²⁰ საქართველოში ევროკავშირის მობილობისთვის პარტნიორობის (EU Mobility Partnership) გაძლიერება ცირკულარული მიგრაციის და დიასპორის სამობილიზაციო მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით მიზნად ისახავდა გერმანიაში ცირკულარული მიგრაციის სქემის შემუშავებას ექთნებისთვის და სარესტორნო სფეროს მუშაკათათვის; პოლონეთსა და ესტონეთში ქართველ მუშაკთა დროებითი შრომითი მიგრაციის სქემა მიზნად ისახავდა პოლონეთსა და ესტონეთში საქართველოდან კვალიფიციურ მუშაკთა კანონიერი დასაქმების მექანიზმების ტესტირებას.

აღმოფხვრაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის, და, კერძოდ VET-ის სექტორის მიერ. საუბარია არსებული კვალიფიკაციებისა და უნარების შეუსაბამობაზე, როდესაც რამდენიმე ბენეფიციარს დასჭირდა გადამზადება ევროკავშირის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად. ასევე, საპილოტე პროგრამები რიგ ისეთ პროფესიას მოიცავდა, რომელთა დეფიციტი აღინიშნება საქართველოში (ექთნები, შემდუღებლები და სხვა კვალიფიციური ტექნიკური მუშაკები), რამაც პოტენციურად, შესაძლოა, ადგილობრივი შრომითი ბაზრის დისბალანსი გამოიწვიოს.

ევროკავშირი წლების მანძილზე აქტიურად ჩართული საქართველოში უნარებისა და კვალიფიკაციის განვითარების და მიგრაციის მართვის, ინიციატივებში და მის მიერ გაწეული მხარდაჭერა ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ. თუმცა, საქართველოში ევროკავშირის მუშაობის ამ ორ მიმართულებას შორის საკმაოდ მცირე გადაკვეთის წერილებია და ნაკლები ურთიერთკავშირი. ამავე დროს, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერა ამ ორი მიმართულებით კვლავაც უაღრესად მნიშვნელოვანია. მხოლოდ 2020-2021 წლებში, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა სულ ცოტა 13 პროექტს, რომლებიც მიმართულია უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ასპექტებზე²¹. ზოგი მათგანი მიზნად ისახავს უფრო ფართო შედეგების მიღწევას პოლიტიკის დონეზე²², ხოლო სხვები მიმართულია გარკვეული უნარების გაძლიერებაზე კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებს შორის თუ სხვადასხვა საქართველოს რეგიონში. მიგრაციის, კონკრეტულად კი მიგრაციის მართვის, საზღვრის უსაფრთხოების დაცვისა და ვიზალიბერალიზაციის შემთხვევებში, ევროკავშირმა დააფინანსა რამდენიმე დიდი პროექტი 2014 წლიდან²³; ამჟამად, საქართველოში მოქმედებს ოთხი "მსხვილი" პროექტი, რომელთა ევროკავშირის მიერ დაფინანსება ჯამში 15 მილიონ ევროზე მეტს შეადგენს (იხ. დანართი II). მიუხედავად ამისა, არც ერთი ამ პროექტებიდან - იქნება ეს უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების თუ მიგრაციის მიმართულება - არ ითვალისწინებს მიგრაციის უნარების განზომილებას.

ETF-ის მხარდაჭერა

ევროკავშირის მიერ გაწეული მხარდაჭერის მსგავსად, ETF-ის მიერ გაწეული დახმარება უნარების განვითარებასთან დაკავშირებით, კერძოდ კი გამოცდილების გაზიარების, შესაძლებლობების გაძლიერებისა და კვლევების ჩატარების მხრივ ფართოდ არის აღიარებული საქართველოში. ტურინის პროცესში მონაწილეობა ითვლება ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პლატფორმად VET-ის სფეროს განვითარებისთვის და გაძლიერებისთვის. ETF-ის გამოცდილება მიგრაციასა და უნარების განვითარებასთან მიმართებაში შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურად, რადგან საქართველოში MISMES-სა (ETF, 2015 წ.) და მიგრაციისა და უნარების (ETF და BCG, 2013 წ.) შესახებ ETF-ის პროექტის ფარგლებში განხორციელებული შეფასებები და შემუშავებული ანგარიშები კვლავ წარმოადგენს ქვეყანაში არსებულ ძირითად მონაცემებს და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს. საქართველოში უნარების ამაღლებისა და მიგრაციის შესახებ ETF-ის მიერ

²¹ https://eu4georgia.ge/search-results/?_sf_s=skills&sort_order= sfm_project_start_date+desc+date&lang=en

²² იხ., მაგალითად, შრომითი ბაზრის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად უნარების ასამაღლებელი ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც ევროკავშირის Skills4Jobs პროგრამის ფარგლებში ხორციელდება <https://www.etf.europa.eu/en/news-and-events/news/eu-launches-eu50-million-programme-georgia>

²³ <https://eu4georgia.eu/projects>

ჩატარებული წინა კვლევების საფუძველზე რამდენიმე დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ როგორც საქართველოში სექტორის მდგომარეობის, ასევე, მისი განვითარების თაობაზე. დასკვნები მიუთითებს მიგრანტების სხვადასხვა ჯგუფებისთვის (მათ შორის, იმიგრანტების, პოტენციური ემიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტებისთვის) კონკრეტული მომსახურების VET-ის სისტემაში ინტეგრირებისა და ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობაზე; ხაზს უსვამს კარგ პრაქტიკებს, როგორცაა IOM-ის „მობილობის ცენტრების“ კონცეფცია და, დასაქმების ხელშეწყობისა და საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის მოსამზადებელი პროგრამებს, რომელიც დაინერგა საქართველოში ერთ-ერთი კერძო დასაქმების სააგენტოს მიერ; ასევე, ავლენს დაბრუნებული მიგრანტებისთვის სამეწარმეო მხარდაჭერის ფარგლებში MISMES-ის მიდგომების ინტეგრირებისა და განხორციელების აუცილებლობას (ETF, 2015 წ.).

განვითარების მიმართულებები

2003 წლიდან საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩომ და მართვამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ამჟამად, ქვეყანას აქვს შემუშავებული ყოვლისმომცველი საიმიგრაციო და სამიგრაციო, შრომითი მიგრაციისა და რეინტეგრაციის პოლიტიკა, ეფექტურად მუშაობენ შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები და განხორციელებისა და იმპლემენტაციის მექანიზმები.

მიუხედავად ამისა, როდესაც საქმე ეხება მიგრანტების უნარების გაძლიერების საკითხებს, არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზი, როგორც პოლიტიკის, ისევე, განხორციელების დონეზე. მაშინ როდესაც მიგრაციის სტრატეგიის დოკუმენტები განსაზღვრავს, რომ მიგრანტებისთვის გადამწყვეტია უნარებისა და ცოდნის გადაცემისა და ტრანსფერის ხელშეწყობა (როგორც იმიგრანტებისთვის, ისევე, დაბრუნებული მიგრანტებისთვის), აღნიშნული ასპექტის მარეგულირებელი პოლიტიკა მწირია და სასურველია მისი ინსტიტუციონალური კოორდინირების გაძლიერება. ამასთან, MISMES-ი დიდ წილად მიგრაციის დასრულების - დაბრუნების - ეტაპზე გვხვდება და არ განუცდია მნიშვნელოვანი პროგრესი ETF-ის 2015 წლის შეფასების შემდგომ პერიოდში (ETF, 2015 წ.).

რათა უკეთ იქნას გათვალისწინებული მიგრანტებთან დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხი, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სახელმწიფო პოლიტიკის დიალოგი ამ სფეროში არსებული პოლიტიკის სრულყოფისთვის. მსგავსი ისტორიის მქონე ქვეყნების გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ასევე ხელსაყრელი შეიძლება იყოს საქართველოსთვის.

ევროკავშირთან თანამშრომლობა შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს თუ შესწავლილ იქნება როგორ შეიძლება დაეხმაროს ევროკავშირის Skills4Jobs²⁴ პროგრამა იმის უზრუნველყოფაში, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყოს ხელმისაწვდომი უნარებისა და დასაქმების შესაბამისობის სერვისები და მეწარმეობისა და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები. ევროპის კომისიის მიერ 2021 წლის ივნისში მიგრაციისა და თავშესაფრის ახალი პაქტის (New Pact on Migration and Asylum) ფარგლებში დაწყებული ტალანტების მოძიების პარტნიორობის (Talent Partnership) ინიციატივა სპეციალურად განკუთვნილია „ევროკავშირში კვალიფიკაციის ნაკლებობის აღმოფხვრასა და მესამე რიგის ქვეყნებთან მიგრაციის საკითხებზე ურთიერთდახმარების პარტნიორობის გაძლიერებისთვის“²⁵. ეს ახალი ინიციატივა უშუალოდ ეხება საქართველოს, რადგან იგი მიმართულია „ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან მუშაკების უნარების ევროკავშირში შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე“.

თავისი კონკრეტული გამოცდილებით, ETF-ს შეუძლია ითამაშოს წამყვანი როლი ყველა ამ პროცესში; მას შეუძლია უზრუნველყოს უნარების განვითარებასა და მიგრაციას შორის კავშირის

24

https://eeas.europa.eu/delegations/georgia_en/69572/%20EU%20and%20Government%20of%20Georgia%20launch%20new%20150%20M%20GEL%20programme%20supporting%20vocational%20education%20and%20labour%20market%20development

25 https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_21_2921

გაძლიერდება, რაც დადებით შედეგებს მოუტანს პროცესში ჩართულ ყველა მხარეს, კერძოდ, წარმოშობის და მიმღები ქვეყნებსა და თავად მიგრანტებს.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც განვითარების შესაძლო მიმართულებებისთვის შემუშავდა:

- 2021-2030 წლების პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია (რომელიც შემუშავების პროცესშია) შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე კონკრეტულ აქტივობას და სამიზნე ინდიკატორებს უნარების განვითარებასა და მიგრაციას შორის კავშირების გასაძლიერებლად.
- საქართველოში შესაძლებელია შეიქმნას სისტემა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს პოტენციური ემიგრანტების უნარებთან დაკავშირებულ საჭიროებების შესაბამისი მომზადებისა და გადამზადების შესაძლებლობებთან რეგულარული მიზნობრივი კვლევების განხორციელების შედეგად, რათა პოტენციურ მიგრანტებს გაუმარტივდეთ მიმღები ქვეყნების შრომის ბაზარზე შესვლა.
- პროფესიული განათლების სექტორი შესაძლებელია უფრო მოქნილი გახდეს არსებული VET-ის პროგრამების რეგულარული შეფასებების განხორციელების მეშვეობით, შემდეგი თვალსაზრისით: i) მიგრანტთა ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობა; ii) შეთავაზებული პროგრამების შესაბამისობა და რელევანტურობა შრომის ბაზრისთვის და მომხმარებლებისთვის და iii) პროგრამების ევროკავშირის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან თავსებადობა. MES-სა და ETF-ს შეუძლიათ წამყვანი როლი ითამაშონ ამ პროცესში.
- მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს კავშირები უნარების განვითარებასა და მიგრაციას შორის როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სარეინტეგრაციო პროგრამებში. სავარაუდო ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს არსებული კომპონენტის გაძლიერებას მიგრაციის პროცესის ყველა ეტაპზე, მეტი ყურადღების გამახვილებას სოციალური მუშაკის (case worker) პროგრამის შემუშავებაზე, რომლებიც იმუშავებენ თითოეულ დაბრუნებულ მიგრანტთან და იმიგრანტთან საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და სხვა ცხოვრებისეული მიზნების დასახვის პროცესში, და სახელმწიფო და არასამთავრობო დახმარების მიზნობრიობისა და ეფექტურობისთვის გაზრდისადმი განხორციელებულ აქტივობებს.
- სასარგებლო იქნება მუშაობის გაძლიერება არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმებზე უფრო მეტი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინების მეშვეობით დაბრუნებული მიგრანტებისთვის დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად.
- საქართველოს VET-ის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან შემდგომი დაახლოება საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მიგრანტების კვალიფიკაციის და უნარების შეუსაბამობის შესამცირებლად და ლეგალური დასაქმების გასაზრდელად შესაძლებელია ხელსაყრელი აღმოჩნდეს როგორც წარმოშობის, ისე, მიმღები ქვეყნებისთვის და თავად მიგრანტებისთვის. თანამშრომლობამ საქართველოს მთავრობას, კერძოდ კი MES-სა საქართველოს მხრიდან და ETF-სა და ევროპის კავშირს შორის ევროპის მხრიდან, შესაძლებელია დადებითი შედეგი გამოიღოს ყველა მონაწილე მხარის სასარგებლოდ.
- რეკომენდებულია MISMES-ის (მიგრაციამდე, მიგრაციის პერიოდის და მიგრაციის დასრულების შემდგომი კომპონენტების) ინტეგრირება საქართველოს მთავრობის მიერ დანერგილი ცირკულარული მიგრაციის და ლეგალური მიგრაციის პროგრამებში პარტნიორ

ქვეყნებთან თანამშრომლობით. ETF-ის როლი შეიძლება იყოს ინსტრუმენტალური MoILHSA-ს შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით.

